ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მოსკოვში, კრემლში, გაიხსნება სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რომელიც განიხილავს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 სამშაბათი 4 ოქტომბერი № 232 (16972) ფასი 2 კაპ. 1977




მოსკოვი. კრემლის დიდი სასახლის შენობა.

საქტასის ფოტოქრონიკა.

# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1977 წლის 3 ოქტომბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ“.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების გამო მიიღო დადგენილება, რომელიც ქვეყნდება პრესაში.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. უ. ჩერნენკო აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან ცენტრალური კომიტეტის წევრებად გადაიყვანა ამხანაგები ვ. პ. დემიდენკო, ნ. კ. კირიჩენკო, პ. ს. კლეშაკოვი, ა. მ. ფომინიხი.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1977 წლის 3 ოქტომბერს მიღებული დადგენილება

1. მთლიანად და სავსებით იქნეს მოწონებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ“.

2. ძირითადად მოწონებულ იქნეს საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი იმ დამატებებით, დაზუსტებებითა და შესწორებებით, რომლებიც საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების მიხედვით არის შეტანილი მასში. შეტანილ იქნეს კონსტიტუციის პროექტი სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიის განსახილველად.

დაევალოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს გააკეთოს მოხსენება კონსტიტუციის პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

3. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ყურადღებით განიხილონ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს შემოსული მშრომელთა ყველა წინადადება და შენიშვნა სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტულ უბნებზე მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და განახორციელ[ონ] მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის საჭირო ღ[ონის]ძიებანი.

### ხალხის ნდობით, ხალხის განაწესით — სესიაზე!



ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან ჩამოდიან მოსკოვში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე.

საქართველოს სს რესპუბლიკისაგან უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა დიდი ჯგუფი იყო წითელ მოედანზე, დაათვალიერა კრემლის ღირსშესანიშნაობები. პანორამულ სურათზე — დეპუტატთა ჯგუფი ჩვენი რესპუბლიკისაგან წითელ მოედანზე.

ნაშუადღევს დეპუტატები სარეგისტრაციოდ გამოცხადდნენ კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შენობაში. პატარა მაგიდებთან რიგრიგობით მიდიან დეპუტატები.

რამდენიმე წელია მეგობრობენ წარჩინებული მეშახტეები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: „ყარაღანდქვანახშირის“ გაერთიანების „მიხაილოვსკაიას“ შახტის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი იაუდა მუხაგალიევი და საქართველოს ქვანახშირის გაერთიანების ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ევტიხი სვანიძე.

ი. მუსაგალიევის ბრიგადა ყოველდღიურად ათას ტონა ქვანახშირს იღებს. ხუთწლედის ორი წლის მანძილზე მან ქვეყანას გეგმის გადამეტებით ოცდაათი ათასი ტონა ქვანახშირი მისცა. უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიის აღსანიშნავად ბრიგადამ ხუთწლედის მეორე წლის გეგმა შეასრულა.

არც ე. სვანიძე ჩამორჩება. ახლა მისი ბრიგადა 1978 წლის ანგარიშში მუშაობს. მიმდინარე წლის გეგმა ტყიბულელ მეშახტ[ეთა] ბრიგადამ აგვისტოში — მეშახტის დღისათვის შეასრულა. მარტო ბოლო თვეებში გეგმის გადამეტებით ბრიგადამ 1.500 ტონა ქვანახშირი მისცა სამშობლოს.

დიდხანს საუბრობდნენ გუშინ მეშახტეები. შეთანხმდნენ, [რომ] გაუზიარონ მუშაობის გამოცდილება, ეწვიონ ერთმანეთს.

სურათზე: დეპუტატთა ჯგუფი საქართველოდან წითელ მოედა[ნზე].

ვლ. გინზბურგის ტექსტი და ფოტ[ოები].

ჩვენ საბჭოთა ადამიანები ვართ

# საბჭოთა კავშირი — ხალხთა ძმობის დედაბოძი

## ამომრჩეველთა გულწრფელი განაწესი დეპუტატებს

## ოცნების მწვერვალი

ამ წერილს მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე გამგზავრების წინ ვწერ. მე მინდა ჩემს ამომრჩევლებს სიტყვა მივცე, რომ პირნათლად შევასრულებ იმ განაწესს, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკებმა და პარტიულ-სამეურნეო აქტივის მონაწილეებმა დაგვისახეს.

ახლა თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მე ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენების მომსწრე და მონაწილე გახლავართ. და ეს გასაკვირი როდია. მე ხომ ხალხმა მეორედ ამირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და, ცხადია, ამ წლების მანძილზე ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყველა სესიის მუშაობაში აქტიურად ვმონაწილეობდი. უდავოდ გახარებული ვარ და ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ მონაწილეობას მივიღებ იმ ისტორიულ სესიაში, რომელიც ჩვენი სამშობლოს — განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ქვეყნის ახალ კონსტიტუციას მიიღებს. ეს იქნება უმაღლითი პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღმავლობის მწვერვალი, რომელიც კიდევ უფრო გაუძლიერებს საბჭოთა ადამიანებს ქვეყნის ბატონ-პატრონის წმიდათაწმიდა გრძნობებს, გაალამაზებს ჩვენი ხალხის ცხოვრებას, მსოფლიოს დაანახვებს სოციალისტური დემოკრატიის ნამდვილ ზეიმს.

დეპუტატის მთავარი მოვალეობა ხომ ამომრჩეველთა განაწესის კეთილსინდისიერად შესრულებაა, და მეც უდიდესი სიხარულით მოვახსენებ სესიის მონაწილეებს, რომ საქართველოს მშრომელები უსაზღვროდ მადლიერნი არიან იმ დიდი ზრუნვისათვის, რომელსაც იჩენენ პარტია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და პირადად ლ. ი. ბრეჟნევი. ყოველთვის ერთხელ კიდევ დადასტურდა ამ დღეებში, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა ესოდენ გულმხურვალე მილოცვა გამოგვიგზავნა საქართველოს მეჩაიეებსა და ჩაის მრეწველობის მუშაკებს.

მე და ჩემი კოლეგები იმასაც ვეტყვით სესიის მონაწილეებს, თუ როგორი შრომითი და პოლიტიკური ...

... ხმას მივცემ საბჭოთა მრავალეროვანი ქვეყნის ახალ კონსტიტუციას და ამით ერთ ავურს მივიტან ოცნებით და სანატრელი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაზე.

**ზურაბ სარალიძე,**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი.

## დიდი მოვალეობა

... მათს ერთგულებას, სიყვარულსა და მზადყოფნას — თავდადებული შრომით აღამაღლონ სამშობლოს ცა, იმოღვაწეონ პარტიის წინასწარმოსახულებათა ხორცშესხმისათვის.

**არსენ კობაიძე,**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## ქმაყოფილების გრძნობით

... რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო განვითარებისათვის ახალ მიჯნებს შევუტევნ და საიუბილეო ისტორიული წელი სასახელო შრომითი მიღწევებით აღვნიშნოთ.

**ვალერიან მეუნარგია,**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი.

სსრ კავშირში აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება...
ეს არის მომწიფებულ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საზოგადოება, რომელშიც ყველა სოციალური ფენის დაახლოების, ყველა ერისა და ეროვნების იურიდიული და ფაქტიური თანასწორობის საფუძველზე იშვა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი.
ეს არის მშრომელთა — პატრიოტთა და ინტერნაციონალისტთა მაღალი ორგანიზებულობის, იდეურობისა და შეგნებულობის საზოგადოება.

სსრკ კონსტიტუციის პროექტიდან.



ძმაო ძმითა ხარ ძლიერი

## დიდია ჩემი ქვეყანა...

### ინტერნაციონალური მეგობრობის დღეები ჭიათურაში

ქვეყნის ბატონ-პატრონმა და ახალი კონსტიტუციის შემოქმედმა საბჭოთა ხალხმა თავისი მონოლითურობით, ძმური შეკავშირებით, კომუნიზმის დიადი საქმისათვის თავდადებით კიდევ ერთხელ უჩვენა მთელ მსოფლიოს უღრმესი ერთგულება მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი.

ამ სიტყვების ჭეშმარიტი დადასტურება იყო ქართული მანგანუმის ქალაქში ჭიათურაში მოწყობილი გრანდიოზული ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა ხალხთა ინტერნაციონალურ მეგობრობას.

კლდოვან გორაკებს შორის ჩამჯდარ მაღაროელთა ქალაქს განუმეორებელი კოლორიტული სილამაზე აქვს, სარკეში შერწყმულია თანამედროვე არქიტექ- ...

... ლი მუშაკები დაჯილდოებიან სახელგანთქმული ... გონიათა სავსტრადო ანსამბლი „ლადუშკი“.

საპატიო სტუმრებს შემოუერთდნენ ბელორუსი მეგობრები. სვეტლოგორსკელ და დუბროველ მშრომელებს მხურვალედ ესალმებოდნენ ქართველები. გერმანელ ფაშისტთაგან ბელორუსიის განთავისუფლებისათვის ბრძოლას თავი შესწირა ზოდელმა გაჭკაცმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ს. ჭილაძემ. სისხლით მოპოვებული მეგობრობა შრომაში დაღვრილი ოფლით განმტკიცდა. დუბროვისა და ზოდის კოლმეურნეობები ახლა ერთმანეთს ეჯიბრებიან მეათე ხუთწლედის ზოდიების ასაღებად.

სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს ქართველი ...

... ლი ხალხის კულტურული ... საქართველოში ... და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ასეთ რამეს არ მინახავს. ... ძმურ ... ერთმანეთში შეზავებული სილამაზე და სიტკბო. რა ხელმა შექმნა ეს ... მშვენება, ... დაგვილოცავთ მარჯვენა!

**ერნსტ რონაში** — ქ. სიგულდას გაზეთის ... რედაქტორი ... მოხიბლა.

ინტერნაციონალური მეგობრობის დღეების ბოლო ... კონფერენცია თემაზე „სკკპ ... პოლიტიკა ხალხთა მეგობრობისა და თანასწორობის პოლიტიკაა“. ... „დიდია ჩემი ქვეყანა“, ... „ქართული სულიკო“.

**ო. ნიქაბაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.



სურათებზე: ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოს დირექტორი რ. ხარშილაძე ესაუბრება უკრაინის სსრ ქ. ორჯონიკიძისა და საქართველოს სსრ ქ. ფოთის დელეგაციების წევრებს; ქვემო სურათზე — ქართველი, უკრაინელი და ბელორუსი მეგობრების ერთ-ერთი შეხვედრის მომენტი.

რ. ბუხრაშვილისა და ა. მაჭავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რედაქციაში მკითხველმა ლექსი გამოგზავნა

## ხალხის გულისთქმა

ვალიკო ხუციშვილი, რომელიც დუშეთის რაიონის სოფელ ხორხში ცხოვრობს, ჩვენს რედაქციას ახალი კონსტიტუციისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსი გამოუგზავნა. ამ ლექსებში გარკვევით ჩანს თავისი ქვეყნის უზომოდ მოტრფიალე ადამიანი. ღვთისანი ... სიხარულით და იმედით. მისი ლექსები „ახალ ცხოვრების ჰიმნი“ ხარ“ და „შენში ...“ ... ჩანს მთის შვილის რწმენაც, ფიქრიც და აღფრთოვანებაც.

და სანამდე ეს არაგვი
ამ ქალებში იგრიალებს,
ეგ ფურცლები მზის ნათელში
ჩვენს სილაღეს იშრიალებს —

მიმართავს ვალიკო ხუციშვილი ახალ კონსტიტუციას, თითოეული მოქალაქის ცხოვრების ძირითად კანონს. ჩვენს ხელთ არის ბევრი ლექსი, საქართველო- ...

... და, თუ მხარდასაჭერია — მხარი დაუჭირონ. მთავარია — იყვნენ მონოლითურნი, ღირსეულნი, ყოველთვის ... ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ქვეყნის საერთო საქმე ...

**ანზორ აბულაშვილი.**

ოთხი თვეა ჩვენი ხალხი დიდი ინტერესით სწავლობს და განიხილავს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის თითოეულ მუხლს. ამ ხნის მანძილზე მშრომელებმა წამოაყენეს მრავალი ახალი მოსაზრება თუ წინადადება, რათა კიდევ უფრო სრულყოფილი გახდეს ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი კანონი. ეს ოთხი თვე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მისამართით ... გამოხმაურება ...

... რაიონის სოფელ ... მკვიდრი ... ალის ... ხალხის გულისთქმა ... ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის ... გამო.

„ბიჯვა უმღერის ქართვის ახალს,
კრემლიდან მზისებრ რომ გვეფინება,
უფლებას ნამდვილს,
ხალხურს და მაღალს,
უბედნიერეს თავისუფლებას.

კალე ბობოხიძე

## ფრთებშესხმული ოცნება

ალისფერმა ალმებმა
კვლავ კალთები გაშალეს;
ხალხი მოგესალმებათ, —
ისვრის ცისფერ მაშხალებს!

ბრწყინავს თავზეუფლებთ
მოციმციმე ვარსკვლავი;
ვხარობთ ხალხთა უფლებით,
ვნათობთ შუქურასავით...

ფრთებშესხმული ოცნება —
სიბრძნის დაკანონება...
ზეცა დაიკოცნება —
მზე გულს ჩაეკონება...

ქრება უამინდობა,
ღვარძლი ზღვაში ჩავყარეთ;
დავამკვიდრებთ მშვიდობას —
საამაყოს, საყვარელს!

კრემლის თალი ციმციმებს,
სხივებს ყველგან არიგებს;
ხალხი განა იძინებს,
ითვლის წინსვლის თარიღებს...

ირთვებიან ქუჩები
ალისფერი სამოსით
და ზეიმით უჩვევთ —
მოდის წელი სამოცი!

3 ოქტომბერი ● „პრავდის“ ფურცლებზე

## როცა სახელოვანი იუბილესათვის ვემზადებით

... ბულია წლის ბოლომდე 280 ათასი ტონა ბოსტნეულის დამზადება.

საიუბილეო წელს აჭარის, აფხაზეთის და რესპუბლიკის სხვა რაიონების მეციტრუსეებმა, რომლებმაც გადახიჯეს ... ნაკისრი ვალდებულებები, გადაწყვიტეს დაამზადონ 160 ათასი ტონა ნაყოფი — ვალდებულებაზე 55 ათასი ტონით მეტი.

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, რასაც კიდევ ერთხელ მოწმობს გაზეთის მეორე გვერდზე გამოქვეყნებული წერილები: „ცხოვრების დიდი წიგნი“, „ხიმაყის გრძნობით“, „ბედნიერების უფლება“.

პოეზიის მოყვარულნი გაეცნობიან იულია დრუნინას ახალ ლექსებს მისი „პოეტური რვეულიდან“.

ფართოდ არის წარმოდგენილი საერთაშორისო ცხოვრება, საკავშირო და სპორტული ინფორმაციები.

ПРАВДА

## 1977 წლის 4 ოქტომბერი — პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვების ოცი წლისთავი

# კოსმოსური ერის დასაწყისი



ცნიერულ ბაზას ეყრდნობა, სწრაფი და გადამწყვეტი წარმატების მიღწევა შეუძლია ნებისმიერი მიმართულებით. როგორც „პრავდა" წერდა 1957 წლის 9 ოქტომბერს, „დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შექმნა ესოდენ მოკლე დროში უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის მეცნიერულ-ტექ-

## 500.000 ტონა ყურძენი — სამშობლოს მარანში!

# რთველს — ტემპი!



„სამტრესტის" ცნობებით მოკრეფილია 3 ოქტომბრისათვის (ტონა)

| რაიონები | გეგმა | ვალდებულება | 3 ოქტომბ. მოკრეფილი | მოკრეფილია რთველის დაწყებიდან |
|---|---|---|---|---|
| გურჯაანის | 88000 | 100000 | 595 | 79649 |
| თელავის | 53500 | 55000 | 200 | 44709 |
| სიღნაღის | 31000 | 35000 | 297 | 25464 |
| ყვარლის | 29000 | 32000 | 69 | 20921 |
| ახმეტის | 26000 | 26000 | 297 | 16858 |
| საგარეჯოს | 20810 | 23000 | 416 | 10808 |
| წითელწყაროს | 19000 | 22000 | 389 | 22386 |
| მარნეულის | 16150 | 16500 | 17 | 16131 |
| ბოლნისის | 10000 | 11000 | — | 11248 |
| გარდაბნის | 9000 | 9500 | 58 | 4072 |
| ლაგოდეხის | 9000 | 9000 | 10 | 5724 |
| მცხეთის | 9000 | 9000 | — | 2647 |
| ზესტაფონის | 21050 | 26000 | — | 213 |
| თერჯოლის | 17300 | 22000 | — | 120 |
| მაიაკოვსკის | 14500 | 16000 | — | 167 |
| საჩხერის | 5500 | 6200 | 149 | 848 |
| ხაშურის | 5810 | 5810 | 161 | 816 |
| წყალტუბოს | 3300 | 3600 | 15 | 132 |
| ჩოხატაურის | 2400 | 2600 | 8 | 32 |
| სამტრედიის | 1700 | 2100 | — | 40 |
| დუშეთის | 1850 | 1850 | — | 72 |
| თეთრი წყაროს | 1500 | 2000 | 98 | 1443 |
| ჭიათურის | 1700 | 2100 | 6 | 32 |
| წულუკიძის | 660 | 800 | — | 35 |
| მახარაძის | 500 | 500 | — | 32 |
| ტყიბულის | 350 | 400 | — | 11 |
| ლანჩხუთის | 80 | 150 | 1 | 16 |
| ორჯონიკიძის | 5000 | 5100 | 69 | 69 |
| ამბროლაურის | 3050 | 3800 | 110 | 110 |
| სულ საქართველოში | 455000 | 500000 | 2910 | 264800 |

## მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში

# დიადი ქვეყნის დიდი ქარტია

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა დელში ე. შუბიჩევმა პარლამენტის წევრს, ინდოეთის ყოფილ იუსტიციის სახელმწიფო მინისტრს, დოქტორ ვ. ა. საიდ მუჰამადს სთხოვა გამოეთქვა აზრი სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

— ვიდრე კონსტიტუციის ზოგი დებულების შესახებ ჩემს აზრს მოგახსენებდეთ — თქვა მან, — განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საბჭოთა ხელმძღვანელის ლ. ი. ბრეჟნევის იმ განცხადების მნიშვნელობა, რომელიც მან 1977

მკვიდრეობითობა. მაგალითად, სახალხო ხელისუფლების პრინციპი წინანდებურად საბჭოების მეშვეობით ხორციელდება, რომლებიც, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმა რევოლუციამ წარმოშვა და პირველმა

რში მოქალაქეებს აქვთ კონსტიტუციური უფლება პირად საკუთრებაში ჰქონდეთ შრომითი შემოსავალი და დანაზოგი, საცხოვრებელი სახლი, დამხმარე საოჯახო მეურნეობა და სხვა, თუ ისინი არ გამოიყენება არაშრომითი შემოსავლების მისაღებად, ან საზოგადოებრივი ინტერესების საზიანოდ.

საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებამ ისეთ მა-

ნული საკითხი საბჭოთა ქვეყანაში. ამ რესპუბლიკამ, წარსულში ცარისტული იმპერიის ერთმა ჩამორჩენილმა ნაწილმა, გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია ცხოვრების ყველა სფეროში, რაც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების სოლიდარობისა და დახმარების შედეგია. სსრ კავშირის სახელმწიფო წყობილების ფედერაციული სისტემა, როგორც ეს კონსტიტუციის პროექტიდან

...

ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს დღევანდელი ინდოეთისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ გამოცხადებული სოციალიზმის ძირითადი პრინციპების ურყეობა და მე-

თული იყო სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებული კერძო საკუთრება. ამჟამად სსრ კავშირში კერძო საკუთრება არ არსებობს. არ არის ამის საჭიროება და არც საამისო პირობებია. ამავე დროს საბჭოთა კავში-

საინტერესოა კონსტიტუციის პროექტის ის დებულებები, რომლებიც ეროვნული საკითხის გადაწყვეტას ეხება. ყაზახეთის მაგალითმა, სადაც მე 1971 წელს ვიმოგზაურე, დამარწმუნა თუ რა წარმატებით წყდება ეროვ-

...

სსრ კავშირის ძირითადი კანონის პროექტი უთუოდ დიდი პოლიტიკური დოკუმენტია, მისი მნიშვნელობა შორს სცილდება საბჭოთა საზოგადოების ფარგლებს.

## აზრი ქვეყნების

# ძლიერების დადასტურება

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი სოციალიზმის ძლიერებისა და უპირატესობის დადასტურებაა. იგი ასახავს იმ საზოგადოების სწრაფ და მუდმივ პროგრესს, რომელმაც თავი დააღწია კაპიტალიზმს და სამუდამოდ განთავისუფლდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან.

მე მივესალმები იმ ქვეყნის კონსტიტუციის პროექტს, სადაც განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებამ საძირკველი ჩაუყარა კომუნიზმის გზით წინსვლას. მასში განმტკიცებულია ადამიანის ყველა ძირითადი უფლება ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში.

მთელი მსოფლიოს მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა ქვეყნის კონსტიტუციის პროექტს, რომელიც საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის იყო გამოტანილი.

**ბლას როკა,**
კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სახალხო ხელისუფლების ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე.

# ისტორიული დოკუმენტი

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტი, რომელიც შეიმუშავა საკონსტიტუციო კომისიამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა სსრ კავშირისა და მთელი მსოფლიოს ხალხების ცხოვრებაში, უდიდესი ისტორიული დოკუმენტია.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიის მემარჯვენე პრესა ცდილობს დააკნინოს ამ დოკუმენტის მნიშვნელობა, ქვეყნის პროგრესული საზოგა-

...

ჭოთა მოქალაქეებს სჯერათ, რომ ხვალ უკეთ იცხოვრებენ, ვიდრე დღეს. ახალი კონსტიტუციის მიღება უეჭველად ხელს შეუწყობს საბჭოთა სახელმწიფოს პროგრესს ყველა დარგში.

**ნიკოლა ტეტი,**
იტალიელი გამომცემელი.

## ნათელი მაგალითი ყველა ხალხებისათვის




გ. ლომიძის ნახატი.

# ურთიერთობა ვითარდება

## „საბჭოთა კავშირის დღეები" საარში

საარბრიუკენი, 3 ოქტომბერი. (საქდესი). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ნიშნით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთ მხარეში — საარში დაიწყო „საბჭოთა კავშირის დღეები". იგი ტარდება გერმანიის

...

# საიმედო პერსპექტივები

## ახლო აღმოსავლეთის საკითხის სამართლიანი მოწესრიგების ინტერესებისათვის

ახლო აღმოსავლეთის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი განცხადება მსოფლიოს ფართო ყურადღებას იპყრობს. პოლიტიკური მოღვაწენი, მსოფლიო პრესა აღნიშნავენ, რომ ახლო აღმოსავლეთის შესახებ ჟენევის ხაზავო კონფერენციის თანათავმჯდომარე სახელმწიფოთა თვალსაზრისთა ერთმანეთს ემთხვევა ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოწესრიგების ბევრ მნიშვნელოვან ასპექტში.

ნიუ-იორკი. ეს განცხადება ... რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ჟენევის კონფერენციას". „ამერიკის ოფიციალურ პირთა აზრით, — წერს შემდეგ გაზეთი, — განცხადება გახდა ორ ქვეყანას შორის მეტი თანხმობის შედეგი, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

ნიუ-იორკი. აქ მყოფმა პალე- ... ნი გადაწყვეტის საქმეში, აღნიშნავს „ალ-აჰრამი". ცხადია, რომ საბჭოთა კავშირს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გადაწყვეტა მიაჩნია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განუყოფელ ნაწილად. (საქდესი).

# სსრ კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება

## ინდოეთის ოკეანესთან დაკავშირებულ საკითხებზე

ვაშინგტონში ხუთი დღის მოლაპარაკების შემდეგ 26-დან 30 სექტემბრამდე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებმა დაამთავრეს ორმხრივი კონსულტაციების მეორე ტური ინდოეთის ოკეანესთან დაკავშირებულ საკითხებზე. ისევე როგორც მოლაპარაკების წინა ტურზე მიმდინარე წლის ივლისში მოსკოვში სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობდა საგანგებო დავალებათა ელჩი ლ. ი. მენდელევიჩი, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას — განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის სააგენტოს დირექტორი პ. უორნკე.

ორივე დელეგაცია შეთანხმდა, რომ მოლაპარაკებას უახლოეს დროში განაგრძობენ. (საქდესი).

## სამართლის სააგენტოს ცნობა

დელი, 3 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც სამართლის სააგენტო იუწყება, დღეს სილამის გამოძიების ცენტრალურმა ბიურომ დააპატიმრა ინდოეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ი. განდი. როგორც სააგენტო ამტკიცებს, ი. განდის ბრალად ედება „ძალაუფლების ბოროტად გამოყენება საგანგებო წესების დროს", რომელიც მან დააწესა ქვეყანაში 1975 წლის ივნისში.


საქდესი
# მსოფლიოს ამბები
ტელეტაიპი გადმოგვცემს


# უცხოელის თვალით

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოში სტუმრად იყო ესპანელი მეცნიერი, ესპანეთის სამეფო აკადემიის წევრი გილერმო დიას პლაია. ჩვენს რესპუბლიკაში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ მან ესპანურ ჟურნალ „აბც"-ს ფურცლებზე გამოაქვეყნა სტატია, რომელსაც მკითხველებს ვთავაზობთ მცირე შემოკლებით.

მე ბედს ვუმადლი, რომ საშუალება მომეცა ორჯერ ვსტუმრებოდი საბჭოთა კავშირს და გავცნობოდი ორ სოციალისტურ რესპუბლიკას — ტაჯიკეთს, რომელიც აზიაში პამირის დაბლობის მახლობლად მდებარეობს, ხოლო შემდეგ — შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე საქართველოს. ამ რესპუბლიკების გაცნობა დამეხმარა უკეთ გავრკვეულიყავი რთულ რასობრივ და კულტურულ პოლიტიკაში როგორც ცალკეული პიროვნების, ისე იმ უდიდესი თანავარსკვლავედის მთელი ხალხების მიმართ, რომელსაც საბჭოთა კავშირი ჰქვია.

ორივე შემთხვევაში მმასპინძლობ-

...

კავკასიური ენები და ბასკური ენა...

ბასკურ და კავკასიურ ენებს ერთი ძირიც რომ ჰქონდეთ, მათი დამაკავშირებელი აწ მკვდარი ლინგვისტური ჯაჭვის რგოლების რიცხვი იმდენად დიდია, რომ მათ გაუთვალისწინებლად, ალბათ, შეუძლებელი იქნება ამ ენათა ნათესაობით უძველესი ძაფების აღდგენა."

მაგრამ მოგზაურს აინტერესებს არა ერუდიტი ფილოლოგების ეს ფრთხილი ვარაუდები, არამედ რეალური ფაქტი: ქართველები ჩვენს ვინაობას რომ გაიგებდნენ, ცდილობდნენ სულიერ ნათესაობაზე ჩამოეგდოთ სიტყვა. ბოლივარის ვენესუელიდან ტრახან-

...

ჟურნალისტიკის, თეატრის საკითხებს რომ სწავლობენ. ამ დაწესებულებებში მუშაობა ძირითადად ადგილობრივ ენებზე წარმოებს, რუსული კი „მეორე ენაა", რომელიც ხელს უწყობს კულტურულ ღირებულებათა გაზიარებას და საბჭოთა ქვეყნის ეროვნებებს შორის ურთიერთობის საშუალებაა.

საქართველო, ანუ მრავალფეროვანი სამხრეთი. იმ ადამიანებისათვის, რომლებიც რუსეთის, ბელორუსიისა და უკრაინის ცენტრალურ დაბლობებზე ცხოვრობენ, სადაც ზამთარში თოვლი და ქარია გამეფებული, საქართველო, ისევე როგორც მთელი შავი ზღვის სანაპირო, შუა ზამთარშიც კი შორეული, მზით ნალოლიავები სამოთხეა. საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და მდებარეობს ლეგენდარული კავკასიონის სამხრეთით, რომელიც სათუთად იცავს ქვეყანას ჩრდილოეთის სუსხიანი ქარებისაგან. და აი, ჩვენ წინ იშლება თვალწარმტაცი სურათი — ხმელთაშუა ზღვის სანახები, სადაც ბაღვენახები ამშვენებს ჩვენთვის, ესპანელებისათვის ნაცნობ პეიზაჟს.

საქართველოს ისტორია მტრის ურდოების შემოსევათა ისტორიაა, და-

...

კვლავ სიურპრიზები. თუ კოლხეთს უწოდებენ დასავლეთ საქართველოს, რომელიც მაშ ზღვას ეკვრის და II საუკუნის დამლევამდე რომის კოლონია იყო, არსებობს აღმოსავლეთ საქართველოც, რომელიც დასავლეთისაგან სურამის ქედით არის გამოყოფილი და ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი სახელით — იბერიად იწოდება (ანუ, როგორც აქ უწოდებენ, ივერია). იგი დასავლეთის ცივილიზაციისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ IV საუკუნეში, ქართველების მიერ ქრისტიანობის მიღების შემდეგ. მაინც ვინ არიან ის მოულოდნელი „იბერები" ევროპის მეორე კიდიდან? რა საიდუმლო კავშირი იმალება ამ სახელწოდებათა მსგავსების მიღმა? მართალია თუ არა ცნობილი მწერალი ალექსანდრე კიკნაძე, რომელიც ამტკიცებს ქართულ ენასა და ბასკურ ენას შორის იდიომატური მსგავსებაა? მე ვესაუბრე ბასკური წარმოშობის ერთ ქალბატონს (იგი ამჟამად საქართველოს დედაქალაქში ცხოვრობს), რომელიც ამტკიცებს, რომ მართლაც არსებობს ბევრი სიტყვა, რომლებსაც ორივე ენაში ერთნაირი ჟღერადობა და მნიშვნელობა აქვთ.

რთული და საინტერესო საკითხია და მისი გადაწყვეტა ფილოლოგთა საქმეა, რომელთა შორის არიან ანტონიო ტოვარი და ლუის მიჩელენა. მათ მხარს უჭერს ლასარო კარეტერი, რომელიც ამას წინათ წერდა: „მიჩელენა არ უარყოფს არც მსგავსებას ამ ორ იდიომატურ ზონას შორის და არც იმ კვლევის მნიშვნელობას, რომელიც ამ დარგში წარმოებს და მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. მაგრამ ჯერჯერობით მიზანს მიაღწიონ. სანამ არ გამოიძებნება უფრო ეფექტიანი მეთოდები ამ საკითხის შესასწავლად. უსხვათარ დროში შესაძლოა მთელ ხმელთაშუა ზღვის აუზში არსებობდა კიდევ ლინგვისტური ერთგვაროვნება, რომლისგანაც სადღეისოდ შემორჩა მხოლოდ

## პოეზიის ქვეყანა

საქართველოს დედაქალაქი თბილისი, სადაც მილიონი მოსახლეა, მტკვრის ნაპირებზე მდებარეობს. ეს მდინარე, ისევე როგორც ტახო, ალაგ-ალაგ მიიკლაკნება ფრიალო კლდეებს შორის, სადაც მოჩანს კიდული სახლები, რომლებიც კუენკას მოგაგონებთ. ამ ღია ხის აივნების არქიტექტურაში როგორც უკვე მოგახსენეთ, აღმოსავლური სტილი იგრძნობა. მიუხედავად ავტომანქანების სიმრავლისა, აღმოსავლურია ამ ადამიანთა ცხოვრების რიტმიც. ხეებით დაჩრდილულ ქუჩებში რომლებმაც პროვანსი და მარსელი მომაგონა, დინჯად დასეირნობს მუდამ საუბრით გართული ხალხი. მაღაზიის ვიტრინებში საქონლის სიუხვე ვაჭრობის დიდ გაქანებას მოწმობს. ქალები ელეგანტურად აცვიათ და იგრძნობა, რომ თავის მოვლის ფასი იციან.

...

# ბედნიერი გზით გევლოს საქართველო

რეპორტაჟი სართიჭალიდან



# ბოსტნეულის სიუხვეა





დილიდან კახეთის გზატკეცილზე სართიჭალიდან თბილისის მიმართულებით მიჰქრიან ხახვით დატვირთული ავტომანქანები. ასეთი კარგი ხახვი რამდენიმე წლის წინათ სანატრელი და ძნელად საშოვი იყო თბილისელებისათვის. ხახვს ხშირად საეჭვო პირები საკოლმეურნეო ბაზრებში ცეცხლის ფასად ჰყიდდნენ. ახლა კი ჩვენი მშრომელები ქორვაჭრებს ზურგს აქცევენ და ხილბოსტნეულის მაღაზიებში საკმაო რაოდენობით შოულობენ ხახვსა და ბოსტნეულს.

ამ დიდ მუშაობაში, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელდა, ბოსტნეულით მოსახლეობის მომარაგების საქმეში აქტიური როლი შეასრულა სართიჭალის მებოსტნეობა-მებაღეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა. როდესაც მეურნეობას დაათვალიერებთ თვალში გეცემათ ვეებერთელა მოედანი, რომელიც გასაგზავნად მომზადებული მშვენიერი გადარჩეული ხახვით არის სავსე.

წელს მეურნეობამ გეგმით უნდა ჩააბაროს 3.000 ტონა ხახვი. სართიჭალელები ვპირდებიან, რომ დიდი გადაჭარბებით შეასრულებენ ამ გეგმას და სახელმწიფოს 5.000 ტონა ხარისხოვან სართიჭალურ ხახვს ჩააბარებენ.

მეურნეობაში მრავალი რეკორდსმენია. მაგალითად, მეორე ბრიგადამ, რომელსაც ჰეჭიკო სართანია ხელმძღვანელობს, გეგმით გათვალისწინებული 19 ტონის ნაცვლად 40 ტონა ხახვი მოიყვანა თითოეულ ჰექტარზე. ამ ბრიგადის მერგოლეურმა ნანული გელაშვილმა, რომელსაც 20 ჰექტარზე ეთესა ხახვი, ჰექტარზე 45 ცენტნერი მიიღო.

მეურნეობაში დაიწყო ადრეული კომბოსტოს შერჩევითი აღება, რომლის მოსავალიც ძალზე ჭარბია.

ს. კილაძე.

• • •

სურათებზე: 950-გრამიანი სართიჭალური ხახვი; კომბოსტოს შერჩევითი აღება, — წინა პლანზე, მარჯვნივ — მოწინავე მერგოლეური ნანული გელაშვილი და ბრიგადირი ჰ. სართანია; გასაგზავნად გამზადებული ხახვი.

ოქტომბრის მე-60 წლისთავს ეძღვნება

# მეგობრობის ეკრანი

## 4 ოქტომბერს თბილისში იწყება აზერბაიჯანული კინოს დღეები

ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი სომეხ კინემატოგრაფისტებს მასპინძლობდა. სომხური კინოს დღეებმა თბილისში, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს ეძღვნება, ჩვენი საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია და სომეხ და ქართველ კინოხელოვანთა მეგობრობის შენობას ერთი აგური შემატა. სომეხმა კინემატოგრაფისტებმა ესტაფეტა ჩვენს აზერბაიჯანელ მეგობრებს გადასცეს და, 4 ოქტომბერს, ჩვენს დედაქალაქში იწყება აზერბაიჯანული კინოს დღეები, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მოწვევით, დღეებში მონაწილეობენ აზერბაიჯანული კინოს მოღვაწეები: კინოდრამატურგი რუსტამ იბრაგიმბეკოვი, რეჟისორები რასიმ ოჯაგოვი, ელდარ ყულიევი, მსახიობები ჰასან ტურაბოვი, [illegible] ისმაილოვი და სხვები. მათ მოიტანეს ახალი მხატვრული ფილმი „დაბადების დღე“ და მრავალსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ილიჩის ყუ[illegible]“...

ამიერკავკასიის რესპუბლიკების კინემატოგრაფისტებს კარგა ხნის მეგობრობა აკავშირებთ. ისინი [illegible]იანთ ხელოვნებას ხშირად აცნობენ ერთმანეთს, ეწყობა ფილმების პრემიერები, ფესტივალები, კვირეულები, კინოს დღეები, შემოქმედებითი კონფერენციები...

თითქმის 50 წელზე მეტია ქართველი კინომოღვაწენი აქტიურად მონაწილეობენ აზერბაიჯანული ფილმების შექმნაში. ცნობილმა კინორეჟისორმა ნ. შენგელაიამ ბაქოში შექმნა შესანიშნავი მხატვრული ფილმი „26 კომისარი“. ბაქოში დაიწყო რეჟისორული მოღვაწეობა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ნ. სანიშვილმა, აზერბაიჯანის კინემატოგრაფიის განვითარების საქმეს 30 წელზე მეტია ემსახურება გრიმიორი გიორგი ფარისაშვილი.

ბევრი აზერბაიჯანელი მოღვაწეობს საქართველოს კინოსტუდიებში და ქართველ კინემატოგრაფისტებთან ერთად გარკვეული წვლილი შეაქვთ ქართული კინოს განვითარების საქმეში. სწორედ ამიტომაც დიდ ინტერესს იწვევს ჩვენს ქალაქში აზერბაიჯანელ კინემატოგრაფისტთა სტუმრობა. აზერბაიჯანული კინოს დღეებში, რომელიც 8 ოქტომბრამდე გასტანს, სტუმრები დაათვალიერებენ კინოსტუდია „ქართულ ფილმს“, სამხატვრო აკადემიას, მუზეუმებს, შეხვდებიან მაყურებლებს, გაიმართება გულითადი საუბრები აზერბაიჯანული და ქართული კინოს საკითხებზე.

ალ. გვენცაძე.

ახალი სეზონი — გეგმები, ფიქრები

# მესხიშვილელთა მე-40 თეატრალური

ქუთაისი. (საქ. კორ.). ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეო [illegible] წელს თავისი მე-40 თეატრალური სეზონი გახსნა ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა. წარმოდგენილ იქნა ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის პიესა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

— წლევანდელი თეატრალური სეზონი, — გვითხრა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა გ. ქავთარაძემ, — განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესხიშვილელთა თეატრისათვის. იგი საიუბილეო, რიგით მეორმოცე სეზონია, და, რაც მთავარია, ჩვენი შემოქმედებითი ძალების დათვალიერება იქნება დიდი ოქტომბრის წინასაიუბილეო დღეებში.

საიუბილეო წლისათვის მზადება ჯერ კიდევ გასულ თეატრალურ სეზონში შევუდექით. მაყურებელმა ნახა შვიდი ახალი სპექტაკლი, მოეწყო გასტროლები [illegible]ში.

[illegible]ნი ახალი სპექტაკლი ყოფილი დრამატურგის მ. ბოჯიევის „დუელი“, რომელიც თანამედროვე ცხოვრებას ეხება, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს ეძღვნება. მე-60 წლისთავისათვის ვამზადებთ აგრეთვე შატროვის ცნობილ პიესას „6 ივლისს“.

წლევანდელი თეატრალური სეზონის რეპერტუარში გვაქვს პ. კაკაბაძის „მეფე დიმიტრი თავდადებული“, ლ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“, ა. ჩხაიძის „შთამომავლობა“, ბრეხტის „გამონაკლისი და კანონი“, რ. ჩეიშვილის მიერ საგანგებოდ ჩვენი თეატრისათვის გასცენიურებული მისივე რომანი „ქალაქში დინოზავრები დადიან“, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ვამზადებთ ა. ტოლსტოის „ბურატინოს თავგადასავალს“.

კიდევ უფრო გაღრმავდება და განმტკიცდება თეატრის კავშირი მაყურებელთან, მოეწყობა შეხვედრები, ახალი დადგმების განხილვა, გაიზრდება გასვლითი სპექტაკლების რიცხვი ქალაქის მეზობელი რაიონების მშრომელებისათვის.

დ. გედენიძე.

## პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ქსელის პროპაგანდისტებისა და მსმენელთა საყურადღებოდ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მასალების შემსწავლელთა დასახმარებლად 5 ოქტომბერს აწყობენ ტელემეცადინეობას თემაზე „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის, სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების ისტორიული მნიშვნელობა“.

ტელემეცადინეობას ჩაატარებენ პროფესორები ვ. მერკვილაძე, ვ. მელქაძე და გრ. ერემოვი.

დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.

ფეხბურთი

# დიდი ანგარიშიც შეიძლებოდა

თბილისის „დინამო“ — ლვოვის „კარპატი“ — 3:1 (2:0)

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი, მსაჯი ვ. ბასკაკოვი (მოსკოვი), 55 ათასი მაყურებელი, ტემპერატურა 22 გრადუსი სითბო.

„დინამო“: გოგია (გაბელია), კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე (კოპალეიშვილი), გუცაევი, ყიფიანი, დარასელია.

„კარპატი“: შვოინიცკი, როდინი, პოტოჩნიაკი, ჩორბა, ბონდარენკო, ბროვარსკი, ბალი, დუბროვინი, დანილიუკი, დუმანსკი, კოზინკევიჩი.

მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა საპირისპიროა, მასპინძლები საპრიზო ადგილებისათვის იბრძვიან, ხოლო სტუმრები — უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის. ამიტომ თამაში მწვავე და უკომპრომისო იყო. მეოცე წუთზე ყიფიანმა და ქორიძემ ორჯერ გაითამაშეს „კედელი“, ქორიძის უძლიერესი დარტყმა ბოძმა მოიგერია, მაგრამ ჩივაძემ თავური დარტყმით პირველი ბურთი გაიტანა.

პირველ ტაიმში დინამოელთა უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ თამაში მხოლოდ სტუმრების კართან მიმდინარეობდა. აქვე უნდა აღინიშნოს ყიფიანის მაღალტექნიკური თამაში და ტაქტიკური მახვილგონიერება. ბურთის გატანის რამდენიმე ნაღდი შესაძლებლობა ხელიდან გაუშვეს გუცაევმა, მაჩაიძემ, ყიფიანმა. ასეთი საგოლე მომენტების გამოუყენებლობა დაუშვებელია.

ტაიმის დასასრულს გუცაევის მიერ ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი დარასელიამ უძლიერესი დარტყმით გაიტანა.

დინამოელებმა მეორე ტაიმში ტემპი შეანელეს და შეტევებს სიმწვავე მოაკლდა. ერთ-ერთ მომენტში კოზინკევიჩი გაექცა კოსტავას, ბურთი საჯარიმოში დანილიუკს მიაწოდა, რომელმაც ანგარიშში სხვაობა შეამცირა. თამაშის დამთავრებამდე თერთმეტი წუთით ადრე კოსტავას ღრმა რეიდს გუცაევის დარტყმა და მესამე გოლი მოჰყვა.

### მატჩის შემდეგ

გ. როსიხინი („კარპატის“ მწვრთნელი): თამაშის ბედი პირველ ტაიმში გადაწყდა. ძალიან სუსტად ითამაშა ლვოველთა დაცვამ. რაც შეეხება მეორე ტაიმს, „კარპატი“ გათამამდა და გოლიც კი გაიტანა, რომელიც საბოლოო წარმატებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. დიდ იმედებს ვამყარებდით ახალგაზრდებზე, მაგრამ ბალმა და დუმანსკიმ სუსტად ითამაშეს. თბილისელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს.

ვ. ბასკაკოვი (მსაჯი): მატჩი სამსაჯოდ მეტად იოლი გამოდგა, რაშიც დიდი დახმარება გამიწიეს თვით ფეხბურთელებმა.

გ. ბახტურიძე.

## მატჩები და შედეგები

კვირას უმაღლესი ლიგის გუნდებმა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურში ასე ითამაშეს:

ცსკა — „დინამო“ მ. — 3:2
„დინამო“ კ. — „ლოკომოტივი“ — 3:0
„ტორპედო“ — „ზენიტი“ — 1:0
„დნეპრი“ — „კრ. სოვეტოვი“ — 1:0
„ნეფტჩი“ — „ზარია“ — 1:0
„არარატი“ — „ჩერნომორეცი“ — 1:1
„კაირატი“ — „შახტიორი“ — 0:0.

## გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 4 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ კ. | 24 | 11 | 12 | 1 | 42-11 | 34 |
| „დინამო“ თბ. | 25 | 11 | 11 | 3 | 37-33 | 33 |
| „ტორპედო“ | 24 | 10 | 9 | 5 | 22-17 | 29 |
| „დინამო“ მ. | 24 | 8 | 12 | 4 | 32-20 | 28 |
| „შახტიორი“ | 25 | 8 | 12 | 5 | 24-18 | 28 |
| „ლოკომოტ.“ | 23 | 9 | 10 | 4 | 24-19 | 28 |
| „კაირატი“ | 25 | 6 | 14 | 5 | 25-25 | 26 |
| „ზენიტი“ | 25 | 7 | 10 | 8 | 27-27 | 24 |
| „ჩერნომორ.“ | 25 | 8 | 8 | 9 | 26-34 | 24 |
| „არარატი“ | 25 | 6 | 11 | 8 | 23-27 | 23 |
| „ნეფტჩი“ | 25 | 5 | 13 | 7 | 21-28 | 23 |
| „დნეპრი“ | 25 | 8 | 6 | 11 | 21-27 | 22 |
| ცსკა | 24 | 5 | 12 | 7 | 24-34 | 22 |
| „ზარია“ | 25 | 6 | 9 | 10 | 22-21 | 21 |
| „კარპატი“ | 25 | 5 | 10 | 10 | 21-26 | 20 |
| „კრ. სოვეტ.“ | 25 | 2 | 5 | 18 | 13-48 | 9 |

## სსრ კავშირის ნაკრების რიგებში

ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები ორ ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრას გამართავს ჰოლანდიის ეროვნულ გუნდთან 5 ოქტომბერს და საფრანგეთის ნაკრებთან — 8 ოქტომბერს.

ქვეყნის ნაკრების დამრიგებელმა სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ნ. სიმონიანმა ნაკრებში კვლავ მიიწვია დ. ყიფიანი, შ. ხინჩაგაშვილი და რ. ჩელებაძე. (საქინფორმი).




რაგბი

# კვლავ მფრინავები

ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა ზედიზედ მეორედ (საერთოდ კი მეოთხედ) დაიმსახურა ჩემპიონის ოქროს მედლები. კვირას მფრინავებმა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩში დაამარცხეს თბილისის „ელვა“ — 27:14 და 35 შესაძლებლიდან 31 ქულა დააგროვეს.

ვერცხლის მედლების ბედი უნდა გადაეწყვიტა მოსკოვის გუნდების „სლავასა“ და „ფილის“ მატჩს. გაიმარჯვა „სლავამ“ — 10:6 და 28 ქულით მეორე ადგილი დაისაკუთრა. „ფილი“, რომელიც მესამე სეზონია, რაც უმაღლეს ლიგაში თამაშობს, 24 ქულით მესამე პრიზიორია.

თბილისის „ლოკომოტივმა“ საკუთარ მოედანზე დაამარცხა ნალჩიკის „უნივერსიტეტი“ — 32:4 და 20 ქულით მეხუთე ადგილი შეინარჩუნა. ამდენივე ქულა აქვს კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდს, მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდებით მან მეოთხე ადგილი გაინაღდა. ცხრილის მეცხრე საფეხური დაიკავა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ (18 ქულა), თბილისის „ელვა“ მეშვიდეა (14 ქულა), ლენინგრადის „პრიმორეცი“ 13 ქულით — მერვე. უმაღლესი ლიგა დატოვეს კრასნოიარსკის „პოლიტექნიკმა“ (10 ქულა) და ნალჩიკის „უნივერსიტეტმა“ — 2 ქულა.

ფრენბურთი

# ორივე — ევროპის ჩემპიონი

ფინეთში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ფრენბურთში. ორივე საბჭოთა გუნდმა — როგორც ვაჟთა, ისე ქალთა ნაკრებმა — კონტინენტის ჩემპიონობა დაიმსახურა. ვაჟები გადამწყვეტ მატჩში მსოფლიოს და ოლიმპიურ ჩემპიონს — პოლონეთის გუნდს შეხვდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. ქალთა გუნდი ფინალურ მატჩში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან თამაშობდა. ჩვენი ფრენბურთელების უპირატესობა აშკარა იყო — 3:0.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

# მეტად ძლიერად, თანმიმდევრულად



## პრეტენდენტთა ნახევარფინალური

მეათე შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მეტოქისათვის. ჩიბურდანიძეს წინა პარტიის წაგების შემდეგ ფაქტიურად მოეჭრა უკანდასახევი გზა, მას მხოლოდ გამარჯვებისათვის უნდა ეზრუნა. ახმილოვსკაიას კი ყოველი ყაიმი ხელს აძლევდა, ხოლო რაც შეეხება მის მორიგ მოგებას, იგი ფაქტიურად ამთავრებდა მატჩს.

ასეთ რთულ სიტუაციაში ჩიბურდანიძემ დიდი სიმტკიცე და შეუპოვრობა გამოიჩინა. მან თეთრებით მიმართა ამ მატჩისათვის სრულიად ახალ დასაწყისს, რაც, ცხადია, მეტოქისათვის გარკვეული სიურპრიზი იყო. მალე დაფაზე წარმოიქმნა ე. წ. ახალინდური დაცვისათვის დამახასიათებელი პოზიცია. იგრძნობოდა, რომ ახმილოვსკაია კარგად ვერ ერკვევა ამ დასაწყისის ნიუანსებში. უკვე მე-12 სვლისათვის მისი მდგომარეობა აშკარად უარესი გახდა. ცენტრში მძლავრი გარღვევით ჩიბურდანიძემ ერთბაშად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა მეტოქე. ახმილოვსკაია ეძებდა კონტრშანსებს, მაგრამ ამაოდ.

შემდგომ სტადიაში ჩიბურდანიძემ მისთვის დამახასიათებელი კომბინაციური მანერით წარმართა შეტევა. ერთი დარტყმა მეორეს მოსდევდა. მაიამ ცენტრში აამოძრავა გამსვლელი პაიკი, რომელმაც მეშვიდე ჰორიზონტალამდე მიაღწია. ახმილოვსკაიამ თითქოს ერთხანს გზა გადაუღობა ამ პაიკს ორი ეტლით დაკუთი. მაშინ თეთრებმა განახორციელეს კუს ლამაზი ხამსვლიანი მანევრი, რომელმაც შემდგომი წინააღმდეგობა უიმედო გახადა. ახმილოვსკაია უფიგუროდ დარჩა და დანებდა.

თქმა არ უნდა, ნორჩმა პრეტენდენტმა თავი იხახელა ამ მეტად საპასუხისმგებლო და მძაფრ პარტიაში.

ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 5:5. ახლა მატჩის დამთავრებამდე ორი პარტიაღა რჩება.

გუშინ და დღეს მატჩზე გამოსასვლელი დღეები იყო. ხვალისათვის არის დანიშნული მორიგი მე-11 პარტია, რომელშიც თეთრებით ითამაშებს კრასნოიარსკელი დიდოსტატი.

მეათე პარტია

ჩიბურდანიძე — ახმილოვსკაია

ახალინდური დაცვა

1. c4 მf6 2. მf3 b6 3. g3 კb7 4. კg2 e6 5. 0-0 კe7 6. მc3 0-0 7. d4 d5 8. cd ed 9. მe5 h6 10. კf4 ეe8 11. ლb3 მbd7 12. ეfd1 მf8 13. e4 c6 14. ეac1 მe6 15. კe3 მf8 16. h4 a6 17. მe2 b5 18. მf4 ლd6 19. მ:c6 de 20. d5 მ8d7 21. მa5 ლb8 22. მ:b7 ლ:b7 23. d6 კd8 24. მd5 მ:d5 25. ლ:d5 ლ:d5 26. ე:d5 მf6 27. ეdd1 კa5 28. კh3 h5 29. ეc6 მg4 30. კ:g4 hg 31. d7 ეeb8 32. კc5 b4 33. კd6 hg d7 ეeb8 32. კc5 b4 33. კd6 ეd8 34. კe7 ეdb8 35. ეd5 კd8 36. ეc8 მფh7 37. კ:d8 ე:c8 38. dcლ ე:c8 39. კg5 და შავები დანებდნენ.

ვ. გამრეკელი.

# 12 დიდოსტატის ტურნირზე

ტილბურგში (ჰოლანდია) 12 დიდოსტატის საერთაშორისო ტურნირზე გადამწყვეტი დღეები დადგა.

ყაიმების სერიის შემდეგ უკანასკნელი შეხვედრები ჩინებულად წარმართა მსოფლიოს ჩემპიონმა კარპოვმა. ბალაშოვის დამარცხების შემდეგ იგი მეშვიდე ტურში შავებით შეხვდა ჰიუბნერს (გფრ), რომელიც მსოფლიოს ჩემპიონს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა. კარპოვმა მოიგო ეს მეტად მნიშვნელოვანი პარტიაც და 7 თამაშიდან 5 ქულა მოაგროვა. ახლა კარპოვის მთავარი მეტოქეა ახალგაზრდა ინგლისელი დიდოსტატი მაილსი, რომელმაც მეშვიდე ტურში მოუგო ბალაშოვს და ასევე 5 ქულა აქვს.

საპრიზო ადგილებისათვის იბრძვიან აგრეთვე ტიმანი (ჰოლანდია), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) და კავალეკი (ამერიკის შეერთებული შტატები).

# ანგარიშში სხვაობა შემცირდა

დასავლეთ ბერლინში მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების ფატალიბეკოვასა და კუშნირის ნახევარფინალური მატჩის მეოთხე პარტია მოიგო ფატალიბეკოვამ. ამრიგად შეხვედრის ანგარიში გახდა 2,5:1,5 კუშნირის სასარგებლოდ.

კალათბურთი

# პოლონეთში გაემგზავრნენ

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდი ჩეხოსლოვაკიაში იმყოფებოდა, სადაც სამი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა. თბილისელები ორჯერ შეხვდნენ „რუდე გვეზდას“ და გაიმარჯვეს — 84:76 და 86:75, შემდეგ კი მოუგეს „სლავია პრაღას“ — 88:67.

კვირას თბილისის დინამოელები პოლონეთში გაემგზავრნენ. კრაკოვში 4 ოქტომბრიდან 9 ოქტომბრამდე ტარდება სოციალისტური ქვეყნების „დინამოს“ მონათესავე სპორტული საზოგადოებების გუნდების პირველობა, რომელშიც თბილისელებიც მიიღებენ მონაწილეობას.

# ველოსიპედით — 160 ათასი კილომეტრი

თბილისში დაამთავრა თავისი მორიგი მარათონული ველოგარბენა უზბეკეთის ქალაქ ნავოის მცხოვრებმა ალექსანდრე გერშფელდმა. ახლანდელი მოგზაურობა ქვეყნის გზებზე, რომლის დროს სპორტის ამ 65 წლის ენთუზიასტმა 12 ათასი კილომეტრი გაიარა, მან მიუძღვნა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებასა და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს.

# ვ. გოგლიძის მემორიალი

დღეს თბილისში ჭადრაკის სახახლეში იხსნება გამოჩენილი ქართველი ოსტატის ვ. გოგლიძის მემორიალი.

ამ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის 16 დიდოსტატი და ოსტატი. როგორც ყოველთვის, ტურნირზე დაწესებული იქნება დიდოსტატისა და ოსტატის ბალის ქულათა ნორმა.

ასპარეზობაში ჩაებმებიან დიდოსტატები ჭიროვი (ბულგარეთი), ფარაგო (უნგრეთი), ვასიუკოვი, ხოლმოვი, ლუტიკოვი, გურგენიძე (საბჭოთა კავშირი), საერთაშორისო ოსტატები როდრიგესი (კუბა), კასტრო (კოლუმბია), კაიშაური (შვეცია), პლახეტკა (ჩეხოსლოვაკია), გიორგაძე (საბჭოთა კავშირი) ოსტატები უბილავა, ზაიჩიკი და სხვები.

საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკე ვაჟებთან ერთად ტურნირში უნდა ეთამაშა მსოფლიოს ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილსაც, მაგრამ იგი ოქტომბრის შუა რიცხვებში მონაწილეობას მიიღებს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესის მუშაობაში, რომელიც ვენესუელაში გაიმართება. კონგრესმა უნდა იმსჯელოს მსოფლიოს პირველობის მორიგი მატჩების საკითხზე.

ვ. გოგლიძის მემორიალი 27 ოქტომბრამდე გასტანს.

# ნ. დანელია



გარდაიცვალა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდრავლიკისა და ჰიდროელსადგურების მშენებლობის კათედრის პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სკკპ წევრი 1963 წლიდან, ნიკოლოზ თევდორეს ძე დანელია.

ნ. დანელია დაიბადა 1905 წელს. ამიერკავკასიის საინჟინრო-მელიორაციული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1932 წელს ჩაირიცხა მოსკოვის წყალთა მეურნეობის საინჟინრო ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ნაკადებში გახივით ცირკულაციის საკითხებზე.

წლების მანძილზე ნ. დანელია მუშაობდა ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

სამამულო ომის წლებში ნ. დანელია ნორილსკის სამთო-მეტალურგიულ კომბინატში მუშაობდა წყალმომარაგების მსხვილი ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის ხელმძღვანელად. იყო ქალაქ ნორილსკის საპატიო მოქალაქე. 1945 წელს იგი სამუშაოდ გადმოიყვანეს ჟინვალჰესის წყალსადენის მშენებლობის მთავარ ინჟინრად.

1948 წლიდან ნ. დანელია დაუბრუნდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და სათავეში ჩაუდგა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიას, 1958 წელს კი მოსკოვში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1962 წლიდან ნ. დანელია ხელმძღვანელობდა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდრავლიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კათედრას, სხვადასხვა დროს იყო სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი საატესტაციო კომისიის წევრი, ჰიდრავლიკური კვლევის საერთაშორისო ასოციაციის საბჭოთა ეროვნული კომიტეტის სექციის თავმჯდომარე და სხვა მრავალი სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრი.

ნ. დანელიას 100-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო და [illegible] საავტორო მოწმობა ძვირფასი წვლილია საბჭოთა ტექნიკური მეცნიერების განვითარებაში; მრავალი მათგანი ითარგმნა და გამოიცა უცხოურ ენებზე. ნ. დანელიას კაპიტალური ნაშრომი — „წყალმიმღები ნაგებობები“ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. მისი ავტორობით ქართულ ენაზე გამოიცა ჰიდრავლიკის ფუნდამენტური სახელმძღვანელო.

დიდია პროფესორ ნ. დანელიას როლი სამეცნიერო კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ათეულზე მეტი საკანდიდატო და რამდენიმე სადოქტორო დისერტაცია. ნ. დანელიას დამსახურება სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში მრავალჯერ აღინიშნა ჯილდოებით.

პროფესორი ნ. დანელია იყო შესანიშნავი ორგანიზატორი, დაუშრეტელი ენერგიის ადამიანი, პრინციპული, მომთხოვნი, მაგრამ ამავე დროს სამართლიანი და გულისხმიერი, რითაც დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა მრავალრიცხოვან თანამებრძოლთა და მოწაფეთა შორის, რომლებიც მოწიწებით შეინახავენ მის ნათელ ხსოვნას!

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; „საქსახწყალპროექტი“; „თბილჰიდროენერგოპროექტი“.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

## ტელევიზია

### 4 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — კონცერტი, 10.55 — საბჭოთა კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიის გახსნა — სესია განიხილავს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტს. ტრანსლაცია კრემლის დიდი სასახლიდან (ფერადი), 17.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ამირან ტოროტაძე“, 17.55 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.25 — მოსწავლეთათვის — კონცერტი, 19.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ადამიანები, შრომა, შემოქმედება“. (ფერადი), 19.45—საბჭოთა კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე (მოსკოვიდან), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (საბჭოთა კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე (მოსკოვიდან). დასასრულ სპორტული მიმოხილვა.

მეორე პროგრამით

18.00 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 18.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩუკი და გეკი“, 19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხალხის სიყვარულით“, 19.45 — საბჭოთა კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე (მოსკოვიდან), 21.00 — დოკუმენტური ფილმი „ლენინგრადი, შეჯიბრება — მოქმედებაში“.

## რადიო

### 5 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

06.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — კონცერტი „მშობლიური ცის ქვეშ“, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — მ. დავითაშვილი — ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 10.00 — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიის მასალები, დასასრულს — კონცერტი (მოსკოვიდან), 13.00 — უკანასკნელი ცნობები — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე (მოსკოვიდან), 15.00—რადიოკომპოზიცია „ძმობის სიმღერა“, 16.00 — უკანასკნელი ცნობები — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე (მოსკოვიდან), 16.30 — „ლიტერატურული კითხვა“. გ. ტაბიძე — „მშვიდობის წიგნი“ (გაგრძელება), 17.15 — ქართული ხალხური მუსიკა 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — ა. ბალანჩივაძე — საორკესტრო პიესები, 18.45 — ეკრანის მელოდიები, 19.00 — მ. შავლიაშვილი — ნარკვევი — „დასაბამიდან, ვიდრე დღევანდლამდე“, 19.20 — ტ. ბაქრაძე — კანტატა „მიყვარს მამული“, 19.40 — საუბარი — ოქტომბრის რევოლუცია და პარტიის ეროვნული პოლიტიკა, 20.00 — უკანასკნელი ცნობები — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე (მოსკოვიდან), 20.05 — „დიდება სამშობლოვ, შენ თავისუფალო“ — ქართველი პოეტების ლექსები, 21.00 — ძილისპირული, 21.15 — ახალგაზრდობისათვის. „სტუდენტი, წიგნი, ლექცია...“, 21.30 — მღერის ლ. ჭყონია, 22.00 — ს. ანტონოვი — „სახელმწიფო გერბი“ რადიოდადგმა, 22.20 — ი. გეჯაძე — საფორტეპიანო დუეტი „ლხინი სოფლად“, 23.00 — უკანასკნელი ცნობები — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე (მოსკოვიდან), 23.30 — „მელოდია, რიტმი“...

## თეატრი

### 4 ოქტომბერი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კავკასიური ცარცის წრე; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეზოში ავი ძაღლია! ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩანჩურა; ახალგაზრდული დრამატული თეატრ-სტუდია — კაცის ტვირთი.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნიკოლოზ თევდორეს ძე დანელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-98-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 98-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-31, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

[...]МУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 07919

საქ. კპ ცკის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14